შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი

სამოქალაქო განათლების ტესტი

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ყურადღებით გაეცანით დავალებათა ინსტრუქციებს, კარგად გაიაზრეთ თითოეული დავალების პირობა და შემდეგ გაეცით პასუხი.

ტესტის მაქსიმალური ქულაა 55.

ტესტის შესრულებისათვის გეძლევათ 4 საათი.

გისურვებთ წარმატებას!

ინსტრუქცია

დავალება არჩევითი პასუხებით (№1-12, 19.1, 23.1, 23.2)

თითოეულ კითხვას თან ახლავს ოთხი სავარაუდო პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. პასუხების ფურცელზე, სწორი პასუხის შესაბამის უჯრაში, დასვით **X** ნიშანი. არც ერთი სხვა აღნიშვნა ელექტრონული პროგრამის მიერ არ აღიქმება. თუ გსურთ მონიშნული პასუხის გადასწორება, მთლიანად გააფერადეთ უჯრა, რომელშიც დასვით **X** ნიშანი და შემდეგ მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი. გადასწორებულ პასუხს ხელმეორედ ვერ აირჩევთ. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

(1) 1. საქართველოს მოქალაქეობის შესახებ კანონის თანახმად პირი, რომელიც იღებს საქართველოს მოქალაქეობას, დებს ერთგულების ფიცს. რომელი ვალდებულება *<u>არ არის განსაზღვრული</u>* აღნიშნული ფიცით?

ა) კონსტიტუციისა და ყველა სხვა კანონის დაცვა;

ბ) სახელმწიფო რელიგიის აღიარება და პატივისცემა;

გ) ეროვნული ტრადიციებისა და კულტურის პატივისცემა;

დ) დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვა.

(1) **2. ეკონომიკური ლიბერალიზმის პერსპექტივიდან რომელი პრინციპები *<u>არ წარმოადგენს</u>* კეთილდღეობის წყაროს?**

ა) ცენტრალიზაცია და მკაცრი რეგულაციები;

ბ) შრომის გადანაწილება და სპეციალიზაცია;

გ) სწრაფვა სარგებლისა და საკუთრებისაკენ;

დ) თავისუფალი ვაჭრობა და კონკურენცია.

(1) **3. პოლიტიკური ნაციონალიზმის რომელი ფორმა გამოირჩევა აგრესიული იმპერიალისტური მისწრაფებებით და უარყოფს თანასწორი უფლებებისა და ერთა თვითგამორკვევის პრინციპს?**

ა) ანტიკოლონიური ნაციონალიზმი;

ბ) კონსერვატიული ნაციონალიზმი;

გ) ლიბერალური ნაციონალიზმი;

დ) ექსპანსიური ნაციონალიზმი.

(1) **4. დემოკრატიის განსხვავებული მოდელები არსებობს. რა ძირითადი მახასიათებელი გააჩნია „სახალხო დემოკრატიის" მოდელს?**

ა) ქალაქ-სახელმწიფოებში საერთო კრებაზე მოქალაქეთა მიერ პირდაპირი კენჭისყრის გზით მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება;

ბ) სამოქალაქო ჩართულობის ხარისხის გაზრდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში და პოლიტიკური პლურალიზმის ხელშეწყობა სახელმწიფო დონეზე;

გ) კლასთა შორის ძალაუფლების გადანაწილება, რომლის ძირითადი მიზანი საერთო საკუთრების გზით სოციალურ-ეკონომიკური თანასწორობის მიღწევაა;

დ) მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის უზრუნველყოფა და პიროვნების პასუხისმგებლობის აღიარება თავის სოციო-კულტურულ მდგომარეობაზე.

(1) **5. შრომით ბაზარზე სამუშაოს აქტიურ მაძიებელთა წილი მცირდება მაშინ, როდესაც:**

ა) მცირდება სამუშაო ძალის რაოდენობა, ხოლო დასაქმებულთა რაოდენობა იზრდება;

ბ) იზრდება სამუშაო ძალის რაოდენობა, ხოლო დასაქმებულთა რაოდენობა მცირდება;

გ) დასაქმებულთა რაოდენობა უცვლელია, ხოლო სამუშაო ძალის რაოდენობა იზრდება;

დ) სამუშაო ძალის რაოდენობა უცვლელია, ხოლო დასაქმებულთა რაოდენობა მცირდება.

(1) **6. კონფლიქტურ სიტუაციაში კონკურენტული ქცევის მოდელის გამოყენება მიზანშეწონილია მაშინ, როდესაც:**

ა) ძალაუფლება მხარეებს შორის თანაბარია და გადაწყვეტილების მიღება სასწრაფოდ გესაჭიროებათ. ასეთ დროს ორივე მხარე ზომიერად იცავს საკუთარ ინტერესებს და არც ერთი მხარის ინტერესები სრულად არ კმაყოფილდება;

ბ) მეორე მხარესთან შედარებით ნაკლები ძალაუფლება გაქვთ, ამასთანავე, პრობლემა თქვენთვის ნაკლებად მნიშვნელოვანია და გსურთ დროის მოგება. ასეთ დროს ორივე მხარის ინტერესები იგნორირებულია;

გ) მეორე მხარეს მეტი ძალაუფლება აქვს და თქვენთვის მნიშვნელოვანია ურთიერთობის შენარჩუნება, ხოლო შედეგი მეორე მხარისათვის უფრო მნიშვნელოვანია. ასეთ დროს მეორე მხარის ინტერესები კმაყოფილდება საკუთარი ინტერესების ხარჯზე;

დ) მეორე მხარესთან შედარებით მეტი ძალაუფლება გაქვთ, სიტუაცია კრიტიკულია და შედეგი თქვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ასეთ დროს მხოლოდ საკუთარი ინტერესების დაკმაყოფილებას ექცევა ყურადღება და მეორე მხარის ინტერესები იგნორირებულია.

(1) 7. დავალებაში მოცემულ კონცეპტუალურ სქემაზე წარმოდგენილია ინდიკატორები. რა უნდა ეწეროს კითხვის ნიშნის ნაცვლად?



ა) ადამიანური განვითარების ინდექსი;

ბ) მდგრადი განვითარების ინდექსი;

გ) დემოკრატიის ხარისხი;

დ) განათლების ხარისხი.

(1) **8. რომელ პოლიტიკურ მოაზროვნეს ეკუთვნის მოცემული ციტატა?**

„ყოველ სახელმწიფოში სამი სახის ხელისუფლებაა: კანონმდებელი ხელისუფლება, საერთაშორისო სამართალზე დამოკიდებულ საქმეთა აღმასრულებელი ხელისუფლება და სამოქალაქო სამართალზე დამოკიდებულ საქმეთა ხელისუფლება. პირველის ძალით ხელმწიფე ან მაგისტრატი ქმნის დროებით ან სამუდამო კანონებს და ასწორებს ან აუქმებს არსებულ კანონებს; მეორის ძალით აცხადებს მშვიდობას ან ომს, გზავნის ან ღებულობს ელჩებს, უზრუნველყოფს უსაფრთხოებას, სახელმწიფოს აცილებს შემოსევებს; მესამის ძალით იგი სჯის დამნაშავეებს ან განიკითხავს კერძო პირთა უთანხმოებებს. ამ უკანასკნელს შეიძლება ვუწოდოთ სასამართლო ხელისუფლება, ხოლო მეორეს-უბრალოდ სახელმწიფოს აღმასრულებელი ხელისუფლება.“

ა) თომას ჰობსს;

ბ) არისტოტელეს;

გ) ნიკოლო მაკიაველის;

დ) შარლ ლუი დე მონტესკიეს.

(1) 9. რომელი მსჯელობა გადმოსცემს მართებულად ფაქტისა და მოსაზრების შინაარსს?

ა) ფაქტის გადამოწმება და დადასტურება შესაძლებელია რეალობასთან შედარებით, რაციონალური განსჯის საფუძველზე, მაშინ როდესაც მოსაზრება წარმოადგენს ინდივიდის მიერ ამა თუ იმ ფაქტის სუბიექტურ შეფასებას. მაგალითად, ფაქტი შეიძლება იყოს სპორტულ შეჯიბრებაში მონაწილეობა, თუმცა ცალკეული ადამიანი შეიძლება ამ ფაქტს ან დადებითად აფასებდეს ან უარყოფითად, რაც მისი სუბიექტური მოსაზრებაა;

ბ) ფაქტი წარმოადგენს რეალობის იმგვარ აღწერას, რომელსაც მხოლოდ მაშინ აქვს ძალა, თუ იგი დასაბუთებულია მეცნიერულად და მისი გამოხატვა შესაძლებელია ადამიანური ენით, ხოლო მოსაზრებებს ადამიანი მიჰყავს ამ ფაქტის გააზრებამდე და ობიექტური დასკვნის გამოტანამდე. მაგალითად, იმისათვის, რომ ობიექტურად დაინახოს ადამიანმა რეალობა, საჭიროა გაეცნოს ყველა არსებულ მოსაზრებას და საკუთარი წარმოდგენების მიხედვით შეაფასოს მონაცემები;

გ) მოსაზრება ყოველთვის სუბიექტური მოცემულობაა, რაც ხშირად ადამიანებს არასწორი გადაწყვეტილების მიღებისაკენ უბიძგებს, მაშინ როდესაც ფაქტები სულ სხვა რამეზე მეტყველებს და ყოველთვის ეხმარება ადამიანს ცხოვრების სწორ მართვაში. მაგალითად, როდესაც ადამიანს ჰგონია, რომ მისი ნეგატიური მოსაზრება არსებულ პოლიტიკურ რეჟიმთან მიმართებაში არის მართალი, ფაქტი მუდამ საპირისპიროს მეტყველებს და შედეგიც მუდამ პოზიტიურია;

დ) მოსაზრებასა და ფაქტს შორის დიდი განსხვავება არ არის, ვინაიდან თითოეული ფაქტი ადამიანის სუბიექტურ შეფასებას ეყრდნობა, რაც შესაძლებელია მცდარი წარმოდგენებიდან გამომდინარეობდეს. მაგალითად, ადამიანები ხშირად ერთმანეთში ურევენ ფაქტს და მოსაზრებას, როდესაც ამბობენ, რომ ცალკეული მოქალაქეები გავლენას ვერ ახდენენ არჩევნებზე, ვინაიდან ერთეული ადამიანის ხმა გადამწყვეტ როლს არ ასრულებს საბოლოო შედეგზე.

(1) **10. რომელი მსჯელობა გამოხატავს მართებულად პლურალისტური მოდელის თეორიას მასმედიის პოლიტიკურ მნიშვნელობაზე?**

ა) მედია უმთავრესად ეკონომიკურად ძლიერი სოციალური ფენის ინტერესებს იცავს და კაპიტალისტური ჰეგემონიის გამყარებას უწყობს ხელს, რაც გამოიხატება ბურჟუაზიული იდეების პროპაგანდაში და საზოგადოებისათვის სრულიად მიკერძოებული პოლიტიკური შეხედულების მიწოდებაში;

ბ) მედია, პირველ რიგში, ბიზნესია და მთლიანად ორიენტირებულია მოგებაზე. იგი ასრულებს საზოგადოებრივი განწყობის ასახვის ფუნქციას, პოლიტიკურ პროცესებში თანამონაწილეობა ან რომელიმე პოლიტიკური შეხედულებისადმი მიკერძოებულობა კი არ წარმოადგენს მისთვის აუცილებლობას;

გ) მედიის როლი ძირითადად საზოგადოების ინფორმირებაში მდგომარეობს. ის მიუკერძოებლად წარმოაჩენს ქვეყანაში არსებული პოლიტიკური შეხედულებების ფართო სპექტრს და საზოგადოებაში განსხვავებული ძალების გაწონასწორებას ცდილობს;

დ) მედია პოლიტიკურად მიკერძოებული ელიტური ჯგუფების ხელში არსებული იარაღია, რომელიც აშუქებს პოლიტიკური შეხედულებების ვიწრო სპექტრს. მისი ტენდენციური პოლიტიკური საქმიანობა ასახავს ღირებულებებს იმ ჯგუფისას, რომელიც უმრავლესობით არის წარმოდგენილი მასში დასაქმებულ სპეციალისტთა შორის.

(1) 11. ინფოგრაფიკა ასახავს საქსტატის 2022 წლის მონაცემებს „საქართველოში სოციალური დაცვის ძირითადი მაჩვენებლების“ შესახებ:

მონაცემთა საფუძველზე გამოტანილი რომელი დასკვნაა მართებული?

ა) პენსიის მიმღებთა რაოდენობა ყველაზე დაბალი რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთშია, ვინაიდან საპენსიო ასაკი იქ ყველაზე მაღალია;

ბ) თბილისში პენსიის მიმღებთა პროცენტული მაჩვენებელი ყველაზე მაღალია, რადგან პენსიონერები რაოდენობრივად აღემატებიან ახალგაზრდებს;

გ) სოციალური პაკეტის მიმღებ შშმ კაცთა რაოდენობა ჩამორჩება, როგორც სოციალური პაკეტის მიმღებ შშმ ქალთა რაოდენობას, ასევე პენსიის მიმღებ კაცთა რაოდენობას;

დ) პენსიის მიმღებ ქალთა რაოდენობა აღემატება როგორც სოციალური პაკეტის მიმღებ კაცთა რაოდენობას, ასევე საარსებო შემწეობის მიმღებ ოჯახთა რაოდენობას.

(1) 12. დავალებაში მოცემულია ახალგაზრდების საჭიროებების, გამოწვევების, ინტერესებისა და რესურსების კვლევის 2020 წლის შედეგები:

- ახალგაზრდების 34% ამბობს, რომ სამოქალაქო ჩართულობის თვალსაზრისით აქტიური ან ძალიან აქტიურია, მეტ-ნაკლებად აქტიურია - 41%, არ არის აქტიური - 25%.

- იმ ახალგაზრდათაგან, რომლებიც აცხადებენ რომ სამოქალაქო ჩართულობის მიმართულებით არიან აქტიურნი ან მეტ-ნაკლებად აქტიურნი, 37% ამბობს, რომ მიიღო მონაწილეობა სოციალურ ქსელში გამართულ აქტივობებსა და ფორუმებში, 21% აღნიშნავს, რომ მოისმინა მერის მომზადებული ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ, 17% აცხადებს, რომ არის საზოგადოებრივი ორგანიზაციის წევრი, 15%-მა გამოხატა აზრი მედიის (ტელევიზია, რადიო, ჟურნალ-გაზეთი) საშუალებით, 14% ამბობს, რომ მონაწილეობა მიიღო დასახლების საერთო კრებაში, 13% აცხადებს, რომ მიიღო მონაწილეობა საპროტესტო დემონსტრაციებში და ასევე, 13%-მა ხელი მოაწერა პეტიციას.

- ახალგაზრდების 46% აღნიშნავს, რომ ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესებით არ არის დაინტერესებული. 45% ამბობს, რომ პოლიტიკური პროცესებით დაინტერესებულია.

- დაახლოებით ყოველი მესამე ახალგაზრდა (36%) ფიქრობს, რომ საკუთარი მუნიციპალიტეტის პოლიტიკაში ახალგაზრდების ინტერესები გათვალისწინებული არ არის. იგივე რაოდენობა - 36% ფიქრობს, რომ მათი ინტერსები გათვალისწინებულია, 28%-მა კი არ იცის, თუ რამდენადაა გათვალისწინებული ახალგაზრდების ინტერესები საკუთარი მუნიციპალიტეტის პოლიტიკაში.

მონაცემთა საფუძველზე გამოტანილი რომელი დასკვნაა მართებული?

ა) ახალგაზრდების უფრო დიდი ნაწილი ინტერესდება პოლიტიკით, ვიდრე აქტიური ან ძალიან აქტიურია სამოქალაქო ჩართულობის თვალსაზრისით;

ბ) ახალგაზრდები საპროტესტო დემონსტრაციებში უფრო აქტიურად მონაწილეობენ, ვიდრე სოციალურ ქსელში გამართულ სამოქალაქო აქტივობებსა და ფორუმებში;

გ) ახალგაზრდების მხოლოდ მეოთხედი ინტერესდება პოლიტიკური პროცესებით, შესაბამისად, დასახლების საერთო კრებებში მათი მონაწილეობა დაბალია;

დ) ახალგაზრდების უმრავლესობა ეცნობა მერის მიერ მომზადებულ ანგარიშს და მათი დიდი ნაწილი თვლის, რომ მუნიციპალიტეტის პოლიტიკა არ ითვალისწინებს მათ ინტერესებს.

ინსტრუქცია

თანმიმდევრობის დადგენა (№13)

დავალებაში მოცემული ჩამონათვალი დაალაგეთ მითითებული პრინციპის თანახმად. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე მოცემულ უჯრებში. გაითვალისწინეთ, რომ უჯრაში იწერება მხოლოდ არჩეული პასუხის შესაბამისი ციფრი. ქულათა მაქსიმალური რაოდენობა მითითებულია დავალების გასწვრივ.

(1) **13.** სქემაზე მოცემულია პოლიტიკური იდეოლოგიების ნალისებური სპექტრი. დაალაგეთ იდეოლოგიები მემარცხენეობიდან მემარჯვენეობის მიმართულებით:



*5				

* ცხრილში მითითებულია სწორი პასუხი.

ინსტრუქცია

შესაბამისობის დადგენა (№14, 15, 16)

დავალებაში ორ სვეტად მოცემულია სხვადასხვა ტიპის ჩამონათვალი. დაადგინეთ შესაბამისობა ამ ორ სვეტში წარმოდგენილ ინფორმაციას შორის. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე მოცემულ ცხრილში. ქულათა მაქსიმალური რაოდენობა მითითებულია დავალების გასწვრივ.

(2) **14.** II სვეტში მოცემული პოლიტიკური იდეოლოგიები შეუსაბამეთ I სვეტში წარმოდგენილ სიმბოლოებს:

I. სიმბოლოები		II. პოლიტიკური იდეოლოგიები
ა)	ბ) 	1. ფაშიზმი 2. პაციფიზმი 3. ფემინიზმი 4. ანარქიზმი
გ)	დ)	

(2) 15. II სვეტში მოცემული სახელმწიფოს ფორმები შეუსაბამეთ I სვეტში მოცემულ სახელმწიფოს როლს:

I. სახელმწიფოს როლი	II. სახელმწიფოს ფორმა
ა) ადამიანთა ქცევის მოთოკვა და ამგვარად ინდივიდების მიერ სხვა ადამიანთა უფლებებისა და თავისუფლებების საფრთხის ქვეშ დაყენების აღკვეთა. სახელმწიფო უბრალოდ დამცავის როლს ასრულებს, მისი უმთავრესი ფუნქციაა მშვიდობისა და სოციალური წესრიგის ჩარჩოს დადგენა, რომლის ფარგლებშიც მოქალაქეებს შეუძლიათ საკუთარი ცხოვრება ისე მოაწყონ, როგორც თავად მიაჩნიათ საუკეთესოდ.	1. ტოტალიტარული სახელმწიფო 2. კოლექტივიზირებული სახელმწიფო 3. მინიმალური სახელმწიფო 4. პროგრესირებადი სახელმწიფო 5. სოციალ-დემოკრატიული სახელმწიფო
ბ) ეკონომიკურ ცხოვრებაში სახელმწიფო ერევა იმისათვის, რომ ბიძგი მისცეს ინდუსტრიულ ზრდასა და სწრაფ ეკონომიკურ განვითარებას. ეს არ გულისხმობს გეგმიურ ეკონომიკაზე გადასვლას, არამედ მთავარ ეკონომიკურ ინტერეს-ჯგუფებსა და სახელმწიფოს შორის პარტნიორული ურთიერთობის დამყარების მცდელობას.	
გ) სახელმწიფოს ინტერვენცია ეკონომიკურ ცხოვრებაში მიზნად ისახავს საზოგადოების რესტრუქტურიზაციას, რაც ხორციელდება იმგვარი პრინციპების მიხედვით, როგორებიცაა პატიოსნება, თანასწორობა და სოციალური სამართლიანობა. სახელმწიფოს აქტიური როლი ფოკუსირდება არა იმდენად სიმდიდრის დაგროვებაზე, არამედ სიმდიდრის სამართლიან, ანუ თანასწორ განაწილებაზე.	
დ) სახელმწიფო აკონტროლებს ეკონომიკური ცხოვრების ყველა ასპექტს. ეკონომიკური სისტემის ცენტრალიზებულ ადმინისტრირებას ასრულებს ეკონომიკის სამინისტრო და დამგეგმავი კომიტეტების ქსელი. ფუნდამენტურად მნიშვნელოვანია, უპირატესობა მიენიჭოს საერთო საკუთრებას კერძო საკუთრებასთან მიმართებაში.	
ე) სახელმწიფო განსაზღვრავს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა ასპექტს და აუქმებს სამოქალაქო საზოგადოებას. ამასთან, არღვევს ყოველგვარ „პრივატულ“ სივრცეს. რეჟიმის ცენტრალური საყრდენი სრული ზედამხედველობისა და დაშინების პოლიტიკაა, სადაც ეფექტიანად მუშაობს იდეოლოგიური მანიპულაციისა და კონტროლის ყოვლისმომცველი სისტემა.	

(1) **16.** რუკა ასახავს 2022 წელს მსოფლიოს ქვეყნებში სამოქალაქო უფლებების დაცვის ხარისხს. II სვეტში მოცემული ხარისხები შეუსაბამეთ I სვეტში მოცემულ ქვეყნებს:



I. ქვეყნები	II. სამოქალაქო უფლებების დაცვის ხარისხი
ა) მექსიკა	1. ძალიან მაღალი
ბ) იაპონია	2. მაღალი
გ) ინდოეთი	3. საშუალო
დ) ბელარუსი	4. დაბალი
ე) თურქეთი	5. ძალიან დაბალი

ინსტრუქცია

შეცდომის გასწორება (№17)

დავალებაში მოცემულია ტექსტი, რომელშიც დაშვებულია ფაქტობრივი შეცდომები (თარიღი, ტერმინი, სახელი და სხვ). იპოვეთ და შეასწორეთ ისინი. ნაპოვნი შეცდომა და მისი შესწორებული ვარიანტი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე მოცემულ ცხრილში (შეცდომა - I სვეტში, ხოლო შესწორებული ვარიანტი - II სვეტში). გაითვალისწინეთ, ყოველი ნაპოვნი შეცდომა, მის შესწორებულ ვარიანტთან ერთად, 1 ქულით ფასდება. ქულათა მაქსიმალური რაოდენობა მითითებულია დავალების გასწვრივ.

(7) **17. ყურადღებით წაიკითხეთ ტექსტი, იპოვეთ და გაასწორეთ შეცდომები:**

ადამიანის უფლებები და თავისუფლებები დემოკრატიულ საზოგადოებაში

თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოს ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელია კანონის წინაშე თანასწორობა. სწორედ კანონის ფარგლებში ეძლევა თითოეულ მოქალაქეს უფლებები და თავისუფლებები, რაც ადამიანის ღირსეული ცხოვრების საფუძველია. სახელმწიფოში დადგენილი ტრადიციები ის პოლიტიკური ნორმებია, რომლებიც განსაზღვრავს მოქალაქისა და სახელმწიფოს ურთიერთმიმართების ძირითად პრინციპებს. უფლება ნიშნავს პიროვნებისათვის მინიჭებულ შესაძლებლობას, იმოქმედოს მთავრობის შეხედულებებისა და ინტერესების მიხედვით და სხვებსაც მოსთხოვოს ამ უფლებების დაცვა. თანამედროვე ლიბერალურ-დემოკრატიულ საზოგადოებაში ადამიანის უფლებების დაცვა მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ მოქალაქეები საკუთარი უფლებების დაცვასთან ერთად ასევე აღიარებენ, პატივს სცემენ და იცავენ სხვა ადამიანების უფლებებსაც.

უფლებასა და თავისუფლებას შორის ძირითად განსხვავებას წარმოადგენს ის, თუ რა როლი აქვს სახელმწიფოს პიროვნებასთან მიმართებაში. თუ ვსაუბრობთ უფლებებზე, მაშინ სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას ვგულისხმობთ და მისგან ქმედითი ნაბიჯების გადადგმას მოველით. მაგალითად, შეგვიძლია ავიღოთ განათლების უფლება, რომლის ყველასათვის ხელმისაწვდომობა სახელმწიფომ პასიურად უნდა უზრუნველყოს. ხოლო თავისუფლებაზე საუბრისას იგულისხმება სახელმწიფოს ნეგატიური ვალდებულება, თავი შეიკავოს პიროვნების თავისუფალ ქმედებაში ჩარევისაგან. ამის მაგალითად კი შეგვიძლია აღმსარებლობის თავისუფლება მოვიყვანოთ.

გადასვლა ტექსტის მეორე გვერდზე

ადამიანის უფლებების განვითარებას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს, თუმცა შეგვიძლია გამოვყოთ შემდეგი დოკუმენტები: I. ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის მიერ 1761 წელს მიღებული დამოუკიდებლობის დეკლარაცია; II. 1789 წელს ინგლისში რევოლუციის დროს მიღებული ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაცია. ითვლება, რომ სწორედ ეს დოკუმენტები დაედო საფუძვლად 1948 წლის 10 დეკემბერს გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ მიღებულ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციას, რომელიც უმთავრეს საერთაშორისო აქტად ითვლება.

საქართველოში ადამიანის უფლებების კონსტიტუციურ დაცვას საფუძველი ჩაეყარა 1921 წლის 21 თებერვალს ეროვნული საბჭოს მიერ მიღებული პირველი კონსტიტუციით, რომლის მოქმედებამ მხოლოდ ოთხი დღე გასტანა. აღნიშნულ კონსტიტუციაში პირველად გაცხადდა საქართველოს მოქალაქეთა ერთიანი ნება კანონის წინაშე თანასწორობაზე, წოდებრივი განსხვავებების არარსებობასა და სიკვდილით დასჯის გაუქმებაზე. მომდევნო კონსტიტუცია, რომელიც უკვე საბჭოთა საქართველოში 1923 წელს მიიღეს, რეალურად მხოლოდ იმეორებდა რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციას, ისევე როგორც შემდეგი 1927, 1937, 1978 წლების კონსტიტუციები.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველოში 1921 წლის კონსტიტუციის ისტორიულ-სამართლებრივ მემკვიდრეობაზე დაყრდნობით საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტმა 1995 წელს მიიღო ახალი კონსტიტუცია, რომელშიც გაცხადებულია საქართველოს მოქალაქეების საერთო ნება ადამიანის ძირითადი უფლებების დასაცავად და შესაბამისობაშია საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებთან და ნორმებთან.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე

ინსტრუქცია

დავალება ღია დაბოლოებით (№18, 19.2, 19.3, 20, 21, 22, 23.3-23.7)

ყურადღებით გაეცანით დავალების პირობას. პასუხების ფურცელზე შესაბამის ადგილას ჩაწერეთ დავალების პირობის ადეკვატური, კონკრეტული, მკაფიოდ ჩამოყალიბებული პასუხი. ქულათა მაქსიმალური რაოდენობა მითითებულია თითოეული დავალების გასწვრივ.

(4) **18.** დავალებაში სქემატურადაა წარმოდგენილი მნიშვნელოვანი ისტორიული სამოქალაქო-პოლიტიკური მოძრაობები. შეავსეთ სქემის ცარიელი უჯრები:

სამოქალაქო-პოლიტიკური მოძრაობა	მოძრაობის მიზნები	მნიშვნელოვანი ფიგურა	ქვეყანა
აბოლიციონიზმი	**18.1**	ფრედერიკ დუგლასი, უილიამ ლოიდ გარისონი, ჯონ ბრაუნი	ამერიკის შეერთებული შტატები
ანტი-აპარტეიდი	ბრძოლა რასობრივი სეგრეგაციის წინააღმდეგ	**18.2**	სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა
არაძალადობრივი მოძრაობა	**18.3**	მაჰათმა განდი	ინდოეთი
18.4	ბრძოლა ქალთა საარჩევნო უფლებების მოსაპოვებლად	ემელინ პანკჰერტი ლუსი სტოუნი	გაერთიანებული სამეფო, ამერიკის შეერთებული შტატები

(3) **19.** მოცემულია 2018 წლის მსოფლიო რუკა ლეგენდის გარეშე. რუკის ანალიზის საფუძველზე უპასუხეთ კითხვებს:



(1) **19.1 რა არის ასახული მოცემულ რუკაზე?**

ა) ბუნებაზე ზეგავლენა;

ბ) პოლიტიკური რეჟიმები;

გ) პრესის თავისუფლების ხარისხი;

დ) მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა ერთ სულ მოსახლეზე.

(1) **19.2 რას აღნიშნავს რუკის ლეგენდის ყველაზე მუქი ტონი? დაასახელეთ რუკაზე ამ შეფერილობის მქონე სამი სახელმწიფო.**

(1) **19.3 იმსჯელეთ მიზეზებზე, რომლებიც განაპირობებს არსებულ მდგომარეობას თქვენ მიერ დასახელებულ ქვეყნებში.**

(5) **20.** დავალებაში მოცემულია სასკოლო პროექტის მიზნის, ამოცანებისა და განხორციელების გზების არასრული ვარიანტი. იმისათვის, რომ სასკოლო პროექტის მოცემულმა ნაწილმა მიიღოს დასრულებული სახე, დავალებები შეასრულეთ შემდეგი თანმიმდევრობით:

I. განსაზღვრეთ და ჩაწერეთ II ამოცანა ცხრილში მოცემული განხორციელების გზების ჩამონათვალიდან გამომდინარე; *(დავალება 20.2)*

II. დაწერეთ განხორციელების სამი სხვადასხვა გზა, რომლებიც ხელს შეუწყობს ცხრილში მოცემული I ამოცანის შესრულებას; *(დავალება 20.3)*

III. განსაზღვრეთ და ჩაწერეთ პროექტის მიზანი, რომლის მიღწევაც შესაძლებელია პროექტის ორივე ამოცანისა და მათი განხორციელების გზებიდან გამომდინარე. *(დავალება 20.1)*

(1)	20.1	<u>**პროექტის მიზანი:**</u> *(ჩაწერეთ მიზანი, რომლის მიღწევაც შესაძლებელია მოცემული ამოცანებიდან და განხორციელების გზებიდან გამომდინარე).*
(1)	20.2	<u>**პროექტის I ამოცანა:**</u> ***ნარჩენების მართვის შესახებ სასკოლო თემის ინფორმირება;*** <u>**პროექტის II ამოცანა:**</u> *(განსაზღვრეთ და ჩაწერეთ კონკრეტული ამოცანა II ამოცანის განხორციელების გზებიდან გამომდინარე).*
(3)	20.3	<u>**I ამოცანის განხორციელების გზები:**</u> *(დაწერეთ მოცემული ამოცანის განხორციელების სამი სხვადასხვა გზა).* 1. 2. 3. <u>**II ამოცანის განხორციელების გზები:**</u> *1. მოსწავლეთა ვიზიტი ახლომდებარე ტყის ტერიტორიაზე და მისი დასუფთავება ნარჩენებისაგან;* *2. სკოლის ტერიტორიაზე ნარჩენების დახარისხების ცენტრის მოწყობა;* *3. ნარჩენების მეორადი გამოყენებით დამზადებული ნივთების გამოფენა-კონკურსის მოწყობა.*

(4) 21. გაეცანით ილუსტრაციას და უპასუხეთ კითხვებს:



(1) 21.1 იმსჯელეთ, რა არის ილუსტრაციის მთავარი სათქმელი.

(1) 21.2 იმსჯელეთ, რა პრობლემებს წარმოშობს აღნიშნული მოვლენა საზოგადოებრივ დონეზე.

(2) 21.3 იმსჯელეთ სახელმწიფოს როლზე ამ პრობლემის გადასაჭრელად. დაასახელეთ ორი კონკრეტული ნაბიჯი.

(5) **22.** გაეცანით ტექსტს და შეასრულეთ დავალება ქვემოთ მოცემული მითითებების შესაბამისად:

„სავაჭრო შეზღუდვების გარეშე […] ბუნებრივი თავისუფლების ყველაზე ცხადი და მარტივი სისტემა მკვიდრდება. ყოველი ადამიანი […] თავისუფალია, მისდიოს მის ინტერესებს იმ გზით, რომელსაც ის თავად ირჩევს და საკუთარი მრეწველობითა და კაპიტალით ჩაერთოს კონკურენციაში სხვა ადამიანებთან.

მმართველი სრულიად გათავისუფლებულია მოვალეობისაგან, რომლის შესრულების მცდელობისას იგი ყოველთვის უთვალავი ილუზიის გავლენის ქვეშ უნდა იყოს და რომლის სათანადო შესრულებისთვისაც არც ერთი ადამიანური სიბრძნე ან ცოდნა არაა საკმარისი, გათავისუფლებულია ვალდებულებისაგან, რომელიც გულისხმობს კერძო პირთა მრეწველობის ზედამხედველობასა და საზოგადოების ინტერესებთან ყველაზე უფრო თანხვედრაში მყოფი საქმიანობებისაკენ მის წარმართვას.“

ადამ სმითი, ,,გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ“, 1776 წელი.

(1) 22.1 ტექსტიდან გამომდინარე განსაზღვრეთ და დაასახელეთ სადისკუსიო თემა. იმსჯელეთ თქვენ მიერ შერჩეული სადისკუსიო თემის მოცემულ ტექსტთან შესაბამისობის შესახებ.

(4) 22.2 A. დაასახელეთ ორი არგუმენტი დისკუსიის დროს წარმოქმნილი პოზიციის დასაცავად;

B. დაასახელეთ ორი არგუმენტი დისკუსიის დროს წარმოქმნილი პოზიციის უარსაყოფად.

(თითოეული არგუმენტი უნდა იყოს არსებითად დამოუკიდებელი საზრისის მატარებელი.)

(9) **23.** გააანალიზეთ მოცემული წყაროები და უპასუხეთ კითხვებს:

წყარო N1	წყარო N2
წარწერა ნახატზე: ,,ერთი ერი, ერთი რაიხი, ერთი ფიურერი!“	სტალინი და მისი თანაპარტიელები. 1926 წელს გადაღებული ფოტო და მისი გვიანდელი ვერსიები.

წყაროებზე გადასვლა: *3* *4* *5*

დავალებებზე გადასვლა: *23.1* *23.2* *23.3-23.7*

წყარო N3

,,მმართველი გუნდის არარსებობამ ტოტალიტარული დიქტატორის მემკვიდრის საკითხი განსაკუთრებით დამაბნეველი გახადა. ყველა უზურპატორისათვის ეს საკითხი თავსატკივარი იყო და საკმაოდ დამახასიათებელია, რომ არც ერთ ტოტალიტარ ლიდერს არასდროს უცდია დინასტიის დაფუძნებისა თუ მათი შვილების წარდგენის ძველი მეთოდი. [...] ტოტალიტარულ პირობებში მართვის ღვედების ლაბირინთის ცოდნა უზენაესი ძალაუფლების ტოლფასია და ყოველი დასახელებული შემცვლელი, რომელიც ერკვევა იმაში, რაც ხდება, გარკვეული დროის შემდეგ ავტომატურად ჩამოშორებულ იქნება. შემცვლელის რეალურად და ხანგრძლივად დანიშვნა გულისხმობს მმართველი გუნდის არსებობას, რომლის წევრებიც ინაწილებენ ლიდერის ცოდნას იმის შესახებ, თუ რა ხდება. ეს კი ლიდერმა ყველა საშუალებით უნდა აირიდოს თავიდან. ჰიტლერმა ეს ერთხელ ვერმახტის უმაღლეს ხელმძღვანელობას თავისებურად აუხსნა, როდესაც ისინი შუაგული ომის ორომტრიალში ამ საკითხზე (შემცვლელზე) იმტვრევდნენ თავს: „საბოლოო ჯამში, მოკრძალების გარეშე ჩემს თავს უნდა ვუწოდო - შეუცვლელი. რაიხის ბედი მხოლოდ ჩემზეა დამოკიდებული.“

ჰანა არენდტი, „ტოტალიტარიზმის დასაბამი“, 1951 წელი.

წყაროებზე გადასვლა: 1-2 4 5

დავალებებზე გადასვლა: 23.1 23.2 23.3-23.7

წყარო N4

„პირამიდის წვერზე დგას დიდი ძმა. ის დაუმარცხებელი და ყოვლისშემძლეა. ყოველი წარმატება, ყოველი მიღწევა, ყოველი გამარჯვება, ყველა მეცნიერული აღმოჩენა, ისევე როგორც მთელი ცოდნა, სიბრძნე, ბედნიერება, სათნოება - ყველაფერი უშუალოდ მისი ხელმძღვანელობითაა ინსპირირებული. არავის არასოდეს უნახავს იგი. ის პლაკატებიდან მომზირალი სახეა, ტელეეკრანებიდან მოლაპარაკე ხმა. ჩვენ შეგვიძლია სრული შეგნებით გვჯეროდეს, რომ ის არასოდეს მოკვდება და უკვე ისიც სრულებით გაურკვეველია, თუ როდის დაიბადა ის. დიდი ძმა არის სახე, რომელიც პარტიამ აირჩია საკუთარი თავის წარმოსადგენად გარე თუ შიდა მსოფლიოსთვის. მისი ფუნქციაა წარმოადგენდეს საყოველთაო ფოკუსს სიყვარულის, შიშისა და მოწიწებისათვის, ანუ იმ ემოციებისთვის, რომელთა განცდა ინდივიდის მიმართ უფრო იოლია, ვიდრე ორგანიზაციის მიმართ.“

ჯორჯ ორუელი, „1984“, 1949 წელი.

წყაროებზე გადასვლა: *1-2* *3* *5*

დავალებებზე გადასვლა: *23.1* *23.2* *23.3-23.7*

წყარო N5

,,ამხანაგებო! პიროვნების კულტმა ხელი შეუწყო პარტიულ მშენებლობასა და სამეურნეო სამუშაოებში მანკიერი მეთოდების გავრცელებას და დაბადა შიდაპარტიული და საბჭოთა დემოკრატიის უხეში დარღვევები, სხვადასხვა სახის გარყვნილება, ნაკლოვანებების დამალვა, სინამდვილის შელამაზება. ჩვენში გამრავლდნენ მლიქვნელები, ქვემძრომები და მაქებრები.

შეუძლებელია იმის არდანახვაც, რომ პარტიული, საბჭოთა თუ სამეურნეო თანამშრომელთა მრავალრიცხოვანი დაკავების შედეგად ჩვენმა ბევრმა თანამშრომელმა დაიწყო თავდაჯერების გარეშე, ფრთხილად მუშაობა. მათ ეშინოდათ სიახლის, საკუთარ ჩრდილსაც კი უფრთხოდნენ. უფრო იშვიათად ავლენდნენ ინიციატივას.

აიღეთ თუნდაც პარტიული და საბჭოთა ორგანოების გადაწყვეტილებები. ისინი შაბლონის მიხედვით იქმნებოდა, კონკრეტული გარემოების სრული უგულვებელყოფით. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ პარტიული თუ სხვა თანამშრომლების გამოსვლები ყველაზე მცირე სხდომებზეც კი, ნებისმიერ საკითხზე თათბირის დროს ,,შპარგალკის“ მიხედვით იკითხებოდა. ეს ყველაფერი ქმნიდა პარტიული თუ საბჭოთა საქმიანობის გამოფიტვის, აპარატის ბიუროკრატიზაციის საფრთხეს.“

ნიკიტა ხრუშჩოვის საიდუმლო მოხსენება, სკკპ XX ყრილობა, 1956 წელი.

წყაროებზე გადასვლა: *1-2* *3* *4*

დავალებებზე გადასვლა: *23.1* *23.2* *23.3-23.7*

(1) **23.1 ჰანა არენდტის ტექსტის მიხედვით:**

ა) ტოტალიტარულ სისტემაშიც კი გადაწყვეტილების მიღება ერთგვარი გუნდის მიერ ხდება;

ბ) ნებისმიერი უზურპატორი ძალაუფლების მოპოვების შემდეგ მის მემკვიდრეობით გადაცემის უზრუნველყოფას ცდილობს;

გ) ტოტალიტარული ლიდერი ყველაზე მეტად ზრუნავს იმაზე, რომ თავის შემცვლელად დაასახელოს ისეთი პიროვნება, რომელიც მას ჰგავს თვისებებით;

დ) დიქტატორულ სისტემებში ძალაუფლება იზრდება ცოდნასთან ერთად და შესაბამისად, არ უნდა არსებობდეს ვინმე, ვინც იმდენივე იცის, რაც ლიდერმა, ვინაიდან ეს მისი ძალაუფლების განაწილებას ნიშნავს.

ჩყაროებზე გადასვლა: 1-2 3 4 5

დავალებებზე გადასვლა: 23.2 23.3-23.7

(1) **23.2 ჯორჯ ორუელის ტექსტის მიხედვით, დიდი ძმა:**

ა) ფიქტიური პიროვნებაა, რომელსაც ყოვლისშემძლეობის თვისებებს მიაწერენ;

ბ) რეალურად უკვდავი ადამიანია, რომელიც მმართველობისათვის არის დაბადებული;

გ) დემოკრატიული სახელმწიფოსათვის დამახასიათებელი მმართველის პროტოტიპია;

დ) პოპულისტი პოლიტიკური ლიდერია, რომელიც ხალხთან ურთიერთობით იძენს პოპულარობას.

წყაროებზე გადასვლა: *1-2* *3* *4* *5*

დავალებებზე გადასვლა: *23.1* *23.3-23.7*

(1) 23.3 N5 წყაროს მიხედვით იმსჯელეთ, რა პრობლემას წარმოქმნის სახელმწიფოს რეპრესიული აპარატის გაძლიერება თავად სახელმწოფოს ფუნქციონირებისათვის.

(1) 23.4 N4 წყაროს მიხედვით იმსჯელეთ, რა პოლიტიკურ ფუნქციას ასრულებს იერარქიის სათავეში მდგომი „დიდი ძმა“.

(1) 23.5 იმსჯელეთ N2 წყაროზე ასახულ პრობლემაზე და ახსენით იგი N3 წყაროს გამოყენებით.

(2) 23.6 N1 წყაროს გამოყენებით განიხილეთ ორი შესაძლო პრობლემა, რომლებსაც იწვევს ცალკეული პიროვნებისა და მთელი ერის გაიგივება.

(2) 23.7 იმსჯელეთ, რა გავლენას ახდენს პიროვნების კულტის საბჭოური გამოცდილება დღევანდელ საქართველოზე. იმსჯელეთ, რა მექანიზმები არსებობს დემოკრატიულ სახელმწიფოში ამ გავლენის აღმოსაფხვრელად.

წყაროებზე გადასვლა: *1-2* *3* *4* *5*

დავალებებზე გადასვლა: *23.1* *23.2*